

## ბოლონიის პოლიტიკის მეოთხე ფორუმის განცხადება

ჩვენ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები და ბოლონიის პოლიტიკის მეოთხე ფორუმის დელეგაციის ხელმძღვანელები, ვიკრიბებით ერევანში, რომ დავადასტუროთ და გავაღრმავოთ ჩვენი თანამშრომლობა უმაღლესი განათლების განვითარებაში, რომლის წარმომადგენლები - სახელმწიფო მმართველები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი - დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ერთგულნი არიან. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ჩვენს ინტერესს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის და მისი პრინციპების გამოყენების მიმართ, როგორც უმაღლეს განათლებაში წარმატებული თანამშრომლობის მაგალითის, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იყოს სხვა რეგიონულ კონტექსტში. ჩვენ ასევე ვაღიარებთ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შემდგომ განვითარებაში სხვა რეგიონების წვლილსაც, მათი პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით.

პოლიტიკური არასტაბილურობა ჩვენს ბევრ ქვეყანაში, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, ეკონომიკური და სოციალური კრიზისით გამოწვეული მიგრაციის ზრდა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა იმ გამოწვევებს შორისაა, რომლებსაც ვუპირისპირდებით. ამავე დროს, ეროვნული თვითშეგნება ქვეყნებში ზრდის უფრო დემოკრატიული და ტოლერანტული საზოგადოების შექმნის იმედს, რომელიც ინდივიდუალური განვითარებისა და ასევე უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. უმაღლესი განათლების რეფორმამ უნდა უზრუნველყოს დემოკრატიული კულტურის შემდგომი განვითარება და აღჭურვოს ჩვენი საზოგადოება ცოდნით, გაცნობიერებითა და უნარებით, რომ ხელი შეუწყოს იმ გამოწვევების გადაჭრას, რომელთა წინაშეც ვდგავართ. ამის მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების დაცვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ავტონომიის უზრუნველყოფის გზით.

უფრო მეტიც, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნასა და გაცვლას, საერთო ნდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება კი გავლენას ახდენს უმაღლეს განათლებაზე და მისი რეფორმირების გზებზე.

შესაბამისად, პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა, ერთი მხრივ, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესა და, მეორე მხრივ, შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, აზიის ქვეყნებს შორის, საჭიროა გაგრძელდეს და გაძლიერდეს და ითვალისწინებდეს უმაღლესი განათლების მრავალფეროვან სისტემებსა და ჩვენი რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ლანდშაფტს. ჩვენ განვსაზღვრეთ რამდენიმე საერთო გამოწვევა, რომლებიც მოითხოვს ჩვენს ერთობლივ თანამშრომლობას მომავალში ამ სირთულეების დასაძლევად, ესენია: დემოგრაფიული ცვლილებები, კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობა, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც გავლენა აქვს ჩვენს ბევრ ქვეყანაზე, სტერეოტიპების გაბატონება, არასაკმარისი კულტურათაშორისი დიალოგი და მზარდი ექსტრემიზმი და რადიკალიზმი. ჩვენ ვითანამშრომლებთ აკადემიურ საზოგადოებასთან, რომ განვაკითხოთ უმაღლესი განათლების ძირითადი როლი ამ გამოწვევების მისაღებად და ჩვენთვის სასურველი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. უფრო მეტიც, ჩვენ მივისწრაფვით,

ვიპოვოთ გზები, რომ განათლების რეფორმები დაგვეხმაროს ჩვენთვის სასურველი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ასე რომ, ჩვენ განვახილავთ იმას, რაც გვაქვს საერთო და, ამავე დროს, საშუალებას მივცემთ ინდივიდუალური განათლების სისტემებს, დაეყრდნონ თავიანთ კონკრეტულ ძლიერ მხარეებსა და ტრადიციებს. მრავალფეროვნება და პოლიტიკის დიალოგის სხვადასხვა ასპექტი გულისხმობს ყველა დონეზე, რეგიონულ, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე ჩართულობას.

ბოლონის პოლიტიკის მეოთხე ფორუმი აქცენტს აკეთებს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესა და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლებიც ესაზღვრებიან ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეს. დღეს მნიშვნელოვანია, უზრუნველყოთ უმაღლესი განათლების მზაობა, უპასუხოს გამოწვევებს. უმაღლესი განათლების რეფორმები გააუმჯობესებს უმაღლესი განათლების ხარისხს და ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებს, დაეხმარება უმუშევრობის საკითხის გადაჭრაში. ბოლონის პოლიტიკის მეოთხე ფორუმი ასევე აქცენტს აკეთებს სტრუქტურული რეფორმების როლზე, მობილობის სქემასა და ერთობლივ პროგრამებზე.

ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სტრუქტურული რეფორმა და გამჭვირვალე ინსტრუმენტები, ასევე მსგავსი ინიციატივები სხვა რეგიონებში, რომლებიც აგებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, ეროვნული ხელისუფლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული მიმდინარე პროექტების შედეგებზე, უნდა წარმოადგენდეს შემდგომი რეგიონული თანამშრომლობის საფუძველს.

ეს მოიცავს სწავლის შედეგების გამოყენებას და საერთო სტანდარტებს სასწავლო პროგრამების დიზაინსა და მიწოდებაში, ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერებაში, კვალიფიკაციების ჩარჩოების განვითარებაში, მობილობისა და აღიარების, აგრეთვე კრედიტების სისტემის, ერთობლივი ხარისხისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში

ჩვენს სამომავლო თანამშრომლობაში განსაკუთრებული პრიორიტეტები მიენიჭება:

➤ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების განვითარებას, მათ შორის, მეთოდოლოგიის განვითარებას, რომ დადგინდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში ეროვნული ჩარჩოების შედარებითობა ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, - ასევე შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში შექმნილ ეროვნულ კვალიფიკაციებთან მიმართებით.

➤ თანამშრომლობის განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ჩვენი განათლების სისტემებისა და მინიჭებული კვალიფიკაციების მიმართ ნდობის შემდგომი გაძლიერების მიზნით. ჩვენ წავახალისებთ მონაწილე ქვეყნების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს, იზრუნონ ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში (EQAR) გაწევრიანებაზე.

➤ კვალიფიკაციების ორმხრივი აღიარების ხელშეწყობის გაუმჯობესება, გაუმჯობესებული ინფორმაციის, აღიარების პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის ერთობლივი განვითარებისა და გავრცელების გზით. ჩვენ მოვუწოდებთ იუნესკოს წამოიწიოს ხმელთაშუა ზღვის რეგიონებსა და არაბეთის ქვეყნებში რეგიონალური კონვენციების გადახედვის პროცესი იმ მიზნით, რომ ასახული იყოს ევროპის საბჭოსა/იუნესკოს ლისაბონის აღიარების კონვენციის, ასევე იუნესკოს ბოლო დროს განახლებული რეგიონალური კონვენციების მთავარი პრინციპები და

ვალდებულები, და ასევე გააქტიურდეს ხმელთაშუა ზღვის აღიარების საინფორმაციო ცენტრების ქსელი.

➤ თანამშრომლობას კრედიტების ტრანსფერის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში, ECTS კრედიტებისა და ბოლო დროს განახლებული მომხმარებელთა გზამკვლევის გათვალისწინებით.

ინსტიტუციურ დონეზე, წავახალისებთ და მხარს დავუჭერთ აკადემიურ თანამშრომლობას, ერთობლივი პროექტების განვითარებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ რეფორმების სრულად იმპლემენტაციისათვის საჭირო პოლიტიკისა და ინსტრუმენტების განხორციელებას და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. ამ რეფორმების განვითარებისა და განხორციელებისათვის არსებითია აკადემიური საზოგადოების, მათ შორის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, ასევე სხვა მთავარი დაინტერესებული პირების ჩართულობა.

უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ბოლოდროინდელი პოლიტიკური არასტაბილურობის, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე ზეწოლის ფონზე, ჩვენ ხაზს ვუსვამთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაგრძელების მნიშვნელობასა და ჩვენს ანგარიშვალდებულებას, მხარი დავუჭიროთ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლასა და ერთობლივ პროექტებს, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესა და პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიის განვითარებაში მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებითა და კვლევის განხორციელებით.

მნიშვნელოვანია, სხვა რეგიონული პროცესების გათვალისწინება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცისა და სხვა ქვეყნებთან მომავალი წარმატებული თანამშრომლობისათვის.

ჩვენ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები და ბოლონიის პოლიტიკის მეოთხე ფორუმის დელეგაციის ხელმძღვანელები, ვაღიარებთ, რომ წარმატებული პოლიტიკის დიალოგი საჭიროებს იმ სამუშაო მეთოდების მრავალფეროვნების მდგრად გამოყენებას, როგორებიცაა: კონფერენციები, სემინარები, სამუშაო ჯგუფები, სასწავლო ვიზიტები, საპილოტე პროექტები და ცოდნის გაზიარება ბოლონიის პოლიტიკის ფორუმის ფარგლებში. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ, ჩვენი ქვეყნებისა და რეგიონების ასეთი თანამშრომლობის პილოტირებაზე და ვთხოვთ ბოლონიის სამდივნოს, ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფთან თანამშრომლობით, ბოლონიის საბჭოსა და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, აზიის ქვეყნების წარმომადგენლებს, რომ მეთვალყურეობა გაუწიონ ამ თანამშრომლობას, რათა განისაზღვროს თანამშრომლობის სფერო, მომზადდეს განრიგი და აქტივობების გეგმა ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის შემდეგი შეხვედრისათვის.

ბოლონიის პოლიტიკის შემდგომი ფორუმი ორგანიზებული იქნება საფრანგეთში 2018 წელს და ჩატარდება მინისტერიალის კონფერენციასთან ერთად.